ივერია

გაზეთი ღირს

თვეში	მან.	კ.	თვეში	მან.	კ.
12	. . .	10—	6	. . .	6 —
11	. . .	9 50	5	. . .	5 50
10	. . .	8 75	4	. . .	4 75
9	. . .	8 —	3	. . .	3 50
8	. . .	7 25	2	. . .	2 75
7	. . .	6 50	1	. . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაურა

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავშვალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრიგოლ ნინასკისეულს სახლებშიც; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 28 ოქტომბერს,

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ახალი პიესა

გამოუკრავველი ოსნეგანი

სცენები სოფლის ცხოვრებიდგან 3 მოქმედ.

ი. მ—ისა

II

არც იქით, არც აქეთ!

ვოდევილი 1 მოქ. გადმოკეთ. ვ. გუნიას მიერ

III

დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

სიმღერა, კითხვა და ლეკური

მოსაწყალებას მაიღებენ: ქ-ნნი: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოკისა; მძინარაშვილისა, სარიძისა. ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, მჭედლიძე, კანდელაკი, შაიირშვილი, თამაზიშვილი და სხ.

ადგილებს ფასი დაკლებულია

შეკარდებისათვის კუშნები დოკში 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად „ბორკილი“, „ლანდი“, «ყაჩაღები» და სხ.

კვირას, 8 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, ტფ. სათ.-აზნაურთ ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება სახლების აშენების ამხ.ნაგობისა. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ახალ წევრთა მიღება.

2) მოხსენება მმართველობისა საქმეთა საზოგადოების დაარსების შესახებ.

3) მოხსენება მმართველობისა ამხანაგობის წევრის პოდპოლკოვნიკის ხ. ბ. არდაზიანის თხოვნის შესახებ.

(3—1)

ქუთაისში

(იესოვის ქუჩაზედ, სკუთარს სახლში)

ამ ოქტომბრის 20 რიცხვიდგან დაარსდება

მოსამზადებელი სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ს. ი. ოცხელისა.

(5—5)

დოქტორი ს. ვაწაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116).

(30—4)

ახალი ამბავი

*** პარასკევს, 23 ოქტომბერს, ტფილისის საპატიმროდგან მიიყვანეს მეტეხის ციხის სამკურნალოში ხოლერიანი ავადმყოფი, პატიმარი სიმონ გძელიშვილი.

ტფილისში 15—23 ოქტომბერს ხოლერით ავად გახდა 8, გარდ. 3, 23 ოქტომბერს ავად იყო 5. ამავე დროს ტფილისის გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 1, ამ ჟამად ავად არის 3.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება, რომ 12 ოქტომბერს შირაქის მინდორში ხოლერის მეზავს ავადმყოფობით სამი თუში გახდა ავად და სამივე გარდაიცვალაო.

ქ. ბაქოს 7—15 ოქტომბერს ხოლერით ავად იყო 1, კიდევ ავად გახდა 2, გარდ. 2, მორჩა 1.

განჯას 14—16 ოქტომბრამდე ხოლერით ავად გახდა 1, გარდ. 1. გუბერნიაში ავად იყო 6, კვლავ ავად გახდა 14, გარდ. 11, ავად არის 8.

ერევანს 12—14 ოქტომბერს ავად იყო 3, კიდევ ავად გახდა 4, გარდ. 3, მორჩა 2, ავად არის 2. გუბერნიაში ავად იყო 7, კვლავ ავად გახდა 25, გარდ. 21, მორჩა 8, ავად არის 3.

ქუთაისს 11—14 ოქტომბერს ავად იყო 2, ავად გახდა 1, გარდ 1, ავად არის 2. გუბერნიაში ავად იყო 6, ავად გახდა 1, გარდ. 4, კიდევ ავად არის 3.

ყარსში 11 ოქტომბერს ავად იყო ხოლერით 9, კიდევ ავად გახდა 1, მორჩა 2. 14 ოქტომბერს ავად იყო 8. ოლქში ავად იყო 26, კიდევ ავად გახდა 5, მორჩა 5, გარდ. 3, ავად არის 23.

დაღესტნის ოლქში 7—9 ოქტომბერს ავად გახდა 20, გარდ. 9, მორჩა 13; 10 ოქტომბერს დაღესტანში ავად იყო ხოლერით 63.

ზაქათალის ოლქში 14—18 ოქტომბერს ავად გახდა ხოლერით 4, გარდ. 1, ავად არის 3.

*** ახალციხიდგან დეპეშით ამბავი მოვიდა, რომ თ. ლევან ჯანდიერს, რომელიც ბ-ნმა გუბერნატორმა განგებ გაჰგზავნა ახალციხის მაზრაში ავიზაკების დასაჭერად, უკვე დაუჭერია ორი მოთავე ავიზაკებისა და ნაძარცვიც იმათ ხელში აღმოუჩენია.

*** ტფილისის პოლიციმეისტერის განკარგულებით, „პურ-ღვინოს“ რესტორანს ღამის 12 საათს შემდეგ ვაჭრობა აღეკრძალა.

*** 30 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასაჩრედ საქმე გაზეთის „თარაზი“-ს რედაქტორის ტიგრან ნაზარიანისა, რომელსაც ჰბრალდება, რომ გაზეთ „არძაგანკის“ რედაქტორს აბგარ იოანესიანს ცილი დასწამაო.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს დროებით აღკრძალოს კავკასიისა და ამიერ კავკასიიდგან ყირიმში მცენარეთა გადატანა.

*** კულაშში დაარსებულია ნორმალური სასწავლებელი, რომელშიაც ხუთის წლის კურსია და მრავალი შეგირდი სწავლობს. სამწუხაროდ, ამ სკოლიდგან მომეტებული ნაწილი შეგირდებისა სხვა-და-სხვა დამბარკოლებელ მიზეზის გამო ვეღარსად მიღის სწავლის განსაგრძობად. ამ ბოლოს დროს ეს გაჭირვებაც აცილებულ იქმნა: მოგვეხენებათ, რომ ტფილისში არსებობს ქალაქის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი (Михаиловское Ремесленное Училище), რომელშიაც ქართული განყოფილებაა. ამ განყოფილებაში უეგზამენოდ იღებენ, სხვათა შორის, ქალაქის პირველ-დასაწყისს სკოლებში კურს-დამთავრებულს შეგირდებს, მაგრამ რადგან ამათი რიცხვი მცირეა, ამიტომ ეს ქართული განყოფილება ნახევრად ცალიერია ხოლმე. დღეს, როგორც შევიტყეთ, ქალაქის სამოსწავლო კომიტეტის წევრს, თ. ვლ. მიქელაძეს წინადადების გამო, ამ კომიტეტს გადუწყვეტია, მიიღონ ხოლმე უეგზამენოდ ზემოხსენებული კულაშის ნორმალურ სასწავლებელში კურს-დამთავრებული შეგირდებიცა. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ქვემო-იმერეთისათვის, რომ მათს შვილებს სწავლის ფასი არ გადახდებათ ტფ. სახელოსნო სასწავლებელში და სასმელ-საქმელიც მუქი ექნებათ. დასჭირდებათ მხოლოდ ბინა ღამის სათევად.

*** დიდუბელები სჩივიან, პატიოსანი განაპირა ქალაქი გაშენდა აქეთ და ისეთი მშვენიერი ქუჩები და სახლები გაკეთდა სულ ამ ორის წლის განმავლობაში, რომ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა ამ სამი-ოთხის წლის წინად და ყურადღებას-კი არ გვაქცევს ქალაქის გამგეობა. ქუჩებში სიბნელეა, ფარნები აქ სულ არსად არის და თითო-ოროლა ძლივს მოიძებნებაო. ამის გამო ხშირია აქეთ სხვა-და-სხვა უწესობა, ძალ-მომრეობაო. სად არის, სად არ არის, ან სცემენ ვისმე ბნელი ღამეში, ან გასძარცვენ, ან მოჰკვლენ. გამოფენის გვერდზედ რომ ერთს თათარს საქმე უყვეს ამას წინად, ელისაბედის ქუჩაზედ, ფარნები ყოფილიყო, არ მოხდებოდა ეს საქმე. საზოგადოდ, დიდუბეს კარგი ბოლო მოელის და საჯარეველია ზრუნვა ქალაქის თვითკაცი, როგორც ციხეში, ამ კლდეებს შუა და მისჩერებიხარ სულ ერთსა და იმავე სურათს. მშვენიერი სურათია, მაგრამ თექვსმეტი წელიწადი ერთსა და იმავე სურათის მზერა ვის არ მოჰბეზრდება. კაცი მაინც ვიყო, ან სანადიროდ წავალ, ან ყანებში მუშაობის საყურებლად და შევიქცევ თავს. ეხლა-კი სულ უნდა ამ აივანზედ ვიჯდე და მივსჩერებოდე ამ კლდეებს...

მაროს არც-კი შეუტყვია აივანზე მოხუცის გამდლის გამოსვლა, ისე იყო ფიქრებში გართული. გამდელი მიუახლოვდა ჩაფიქრებულს მაროს, რომელიც მისწოლოდა სვეტს, და გაჩერდა, რომ დამტკბარიყო იმის მზერით. მართლაც მშვენიერი სანახავი იყო მაშინ მარო: სახე დაჭიდნებოდა, გრძელი, ოქროს ფერი თმა მხარზედ ჩამოშლოდა, თითქოს მშვენიერის სახის მოვარაყებული ჩარჩო, არისო. ცასავით მოკრიალებული თვალები ერთ წერტილზედ ჰქონდა მიშტერებული და რადაც უკმარობის, უკმაყოფილების გრძნობა იხატებოდა ამათში. გამდელმა ცხადად ამოიკითხა ეს გრძნობა და ღიმილით უთხრა:

— მალე, მალე შეგისრულდება, მთავრებულს შეგირდებს, მაგრამ რადგან ამათი რიცხვი მცირეა, ამიტომ ეს ქართული განყოფილება ნახევრად ცალიერია ხოლმე. დღეს, როგორც შევიტყეთ, ქალაქის სამოსწავლო კომიტეტის წევრს, თ. ვლ. მიქელაძეს წინადადების გამო, ამ კომიტეტს გადუწყვეტია, მიიღონ ხოლმე უეგზამენოდ ზემოხსენებულ კულაშის ნორმალურ სასწავლებელში კურს-დამთავრებული შეგირდებიცა. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ქვემო-იმერეთისათვის, რომ მათს შვილებს სწავლის ფასი არ გადახდებათ ტფ. სახელოსნო სასწავლებელში და სასმელ-საქმელიც მუქი ექნებათ. დასჭირდებათ მხოლოდ ბინა ღამის სათევად.

*** დიდუბელები სჩივიან, პატიოსანი განაპირა ქალაქი გაშენდა აქეთ და ისეთი მშვენიერი ქუჩები და სახლები გაკეთდა სულ ამ ორის წლის განმავლობაში, რომ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა ამ სამი-ოთხის წლის წინად და ყურადღებას-კი არ გვაქცევს ქალაქის გამგეობა. ქუჩებში სიბნელეა, ფარნები აქ სულ არსად არის და თითო-ოროლა ძლივს მოიძებნებაო. ამის გამო ხშირია აქეთ სხვა-და-სხვა უწესობა, ძალ-მომრეობაო. სად არის, სად არ არის, ან სცემენ ვისმე ბნელი ღამეში, ან გასძარცვენ, ან მოჰკვლენ. გამოფენის გვერდზედ რომ ერთს თათარს საქმე უყვეს ამას წინად, ელისაბედის ქუჩაზედ, ფარნები ყოფილიყო, არ მოხდებოდა ეს საქმე. საზოგადოდ, დიდუბეს კარგი ბოლო მოელის და საჯარეველია ზრუნვა ქალაქის თვით-

---

ფელეტონი

პირველი ტალღები

(მოთხრობა)

V *)

მანუჩარ დიდგულაძე შეძლებული თავადშვილი იყო. იმის სახლ-კარსა და ოჯახს შეძლებულ ოჯახის სახელი ჰქონდა მთელს ზემო-იმერეთში. სამოსახლო ადგილიც მშვენიერი იყო. წარმოიდგინეთ, მოზრდილი მდინარე, რომლის ნაპირებზედაც გადაჭიმული ვენახები და ყანები; ყოველ ამას, თითქოს განგებ, გარს შემორტყმია მაღალი გორები და კლდეები. ერთ გორაზედ წამოჭიმული დიდი ორსართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც თავ-მოწონებით დასჩერებია მთელს არე-მარეს. სახლს წინ აქვს გრძელი ერთიანი აივანი, რომლიდამაც შვენიერი გადასახედავია. მდინარეს მარცხნივ მისდევს ზოსცს გზა, ცსრეულ წოდებული ძველი „სამხედრო იმერეთის გზა-ტკეცილი“; მარჯვნივ—რკინის გზა, ისეთივე მიხვეული-მოხვეული, როგორც თითონ მდინარე.

ეს ადგილი ცხადად ჰხატავს კაცის ძლიერებას და მის გამარჯვებას ბუნებასთან ბრძოლაში. აქ საკმაოდაა წვრილი საცალ-ფეხო გზები, არის საცხენოსნო და საურმე გზებიც, არის ზოსე და არის რკინის გზა რკინის ბოგირებით, გვირაბებით და სხვ.

შუადღის ორი საათი იქნებოდა, როცა მანუჩარის სახლის აივანზედ გამოვიდნენ მანუჩარის ცოლი სალომე და 16—17 წლის ქალი მარო. სალომეს ხელში დურბინდი ეჭირა.

— დედა, მგონი, ყურმა მოგატყუა, უთხრა ქალმა დედას.

— ეხლა იმიტომ არ ისმის ხმა, რომ კლდეს ამოეფარა, მიუგო დედამ.

ამ დროს მოისმა მატარებლის კვილი და კლდის იქიდგან გამოჰყო თავი ორთქლ-მავალმა. სალომემ დურბინდი მოიმარჯვა და დაუწყო ყურება.

— დედა, ხელს გვიქნევენ! დაიძახა მარომ.

— ვხედავ, კოწია იქნევს ცხვირსახოცს. მანუჩართან ვიღაც ახალგაზდა ყმაწვილი სდგას და აქეთ იყურება. სწორედ კოწიას მასწავლებელი იქნება, სთქვა დედამ.

— მაჩვენე, დედა, დურბინდი, მეც შევხედო, სთქვა აჩქარებით მარომ და მოჰკიდა ხელი. სალომემ მისცა, მაგრამ ამ დროს მატარებელი გორას ამოეფარა.

— რა გვიან მომეცი, ბეჩა, დედა, დურბინდი, ვერაფერი დავინახე, სთქვა გულ-დაწყვეტით მარომ.

— რა გული გწყდება? აქ რომ მოვლენ, მაშინ ვერ ნახავ? მიუგო ღიმილით სალომემ და შევიდა სახლში.

დარჩა მარტო აივანზედ და მისჩერებოდა მატარებელს, რომელიც უზარმაზარ გველივით მიიკლაკნებოდა ხეობაში. აი კიდევ იკივლა მატარებელმა მოსახვევთან და დაიმალა. დარჩა ხოლოდ უშველებელი კვამლის ბურთი, რომელიც ნელ-ნელა იბნეოდა ჰაერში.

— ნეტა, როგორი ყმაწვილია კოწიას მასწავლებელი? ჰფიქრობდა მარო: მამა იწერება, ახალ კურს-შესრულებულია... ნეტავი იმს! მეც წელს უნდა გამეთავებია გიმნაზია, რომ ავად არ გამხდარიყავი. რა კარგი იქნებოდა? ჩვენ ერთად მოვიდოდით ეხლა... ცოტა მაინც შეიცვლება ამ ზაფხულს ჩვენი ცხოვრება, თორემ ერთობ მომწყინდა: ხარ გებ გაჰგზავნა ახალციხის მაზრაში ავიზაკების დასაჭერად, უკვე დაუჭერია ორი მოთავე ავიზაკებისა და ნაძარცვიც იმათ ხელში აღმოუჩენია.

*** ტფილისის პოლიციმეისტერის განკარგულებით, „პურ-ღვინოს“ რესტორანს ღამის 12 საათს შემდეგ ვაჭრობა აღეკრძალა.

*** 30 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასაჩრედ საქმე გაზეთის „თარაზი“-ს რედაქტორის ტიგრან ნაზარიანისა, რომელსაც ჰბრალდება, რომ გაზეთ „არძაგანკის“ რედაქტორს აბგარ იოანესიანს ცილი დასწამაო.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს დროებით აღკრძალოს კავკასიისა და ამიერ კავკასიიდგან ყირიმში მცენარეთა გადატანა.

*** კულაშში დაარსებულია ნორმალური სასწავლებელი, რომელშიაც ხუთის წლის კურსია და მრავალი შეგირდი სწავლობს. სამწუხაროდ, ამ სკოლიდგან მომეტებული ნაწილი შეგირდებისა სხვა-და-სხვა დამბარკოლებელ მიზეზის გამო ვეღარსად მიღის სწავლის განსაგრძობად. ამ ბოლოს დროს ეს გაჭირვებაც აცილებულ იქმნა: მოგვეხენებათ, რომ ტფილისში არსებობს ქალაქის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი (Михаиловское Ремесленное Училище), რომელშიაც ქართული განყოფილებაა. ამ განყოფილებაში უეგზამენოდ იღებენ, სხვათა შორის, ქალაქის პირველ-დასაწყისს სკოლებში კურს-დამთავრებულს შეგირდებს, მაგრამ რადგან ამათი რიცხვი მცირეა, ამიტომ ეს ქართული განყოფილება ნახევრად ცალიერია ხოლმე. დღეს, როგორც შევიტყეთ, ქალაქის სამოსწავლო კომიტეტის წევრს, თ. ვლ. მიქელაძეს წინადადების გამო, ამ კომიტეტს გადუწყვეტია, მიიღონ ხოლმე უეგზამენოდ ზემოხსენებულ კულაშის ნორმალურ სასწავლებელში კურს-დამთავრებული შეგირდებიცა. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ქვემო-იმერეთისათვის, რომ მათს შვილებს სწავლის ფასი არ გადახდებათ ტფ. სახელოსნო სასწავლებელში და სასმელ-საქმელიც მუქი ექნებათ. დასჭირდებათ მხოლოდ ბინა ღამის სათევად.

*** დიდუბელები სჩივიან, პატიოსანი განაპირა ქალაქი გაშენდა აქეთ და ისეთი მშვენიერი ქუჩები და სახლები გაკეთდა სულ ამ ორის წლის განმავლობაში, რომ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა ამ სამი-ოთხის წლის წინად და ყურადღებას-კი არ გვაქცევს ქალაქის გამგეობა. ქუჩებში სიბნელეა, ფარნები აქ სულ არსად არის და თითო-ოროლა ძლივს მოიძებნებაო. ამის გამო ხშირია აქეთ სხვა-და-სხვა უწესობა, ძალ-მომრეობაო. სად არის, სად არ არის, ან სცემენ ვისმე ბნელი ღამეში, ან გასძარცვენ, ან მოჰკვლენ. გამოფენის გვერდზედ რომ ერთს თათარს საქმე უყვეს ამას წინად, ელისაბედის ქუჩაზედ, ფარნები ყოფილიყო, არ მოხდებოდა ეს საქმე. საზოგადოდ, დიდუბეს კარგი ბოლო მოელის და საჯარეველია ზრუნვა ქალაქის თვით-

---

*) იხ „ივერია“ № 225.

მართველობისა არც ჩვენ დაგვტოვებდეს უყურადღებოდაო.

*** სოფ. ნატახტარ (სენაკის მაზრა): დადგა თუ არა შემოდგომა, თანდამის რაინდებმაც აიდგეს ფეხი. ეს ვაჟბატონები ისე გათამამებულნი არიან, რომ არც არავისი ეშინიანთ და არც არავის ერიდებიან. ამას წინად ამ სოფლის მღვდელს ე. გ. კა—ლს ერთი კარგი ცხენი მოჰპარეს და სამაგიეროდ მღვდლისთვის ერთი ჯაგლაგი ცხენი დასტოვეს, რომელსაც პატრონი გამოუჩნდა და წაიყვანა. ამასთანავე ამავე სოფლის მცხოვრებს ა. ბა—ლაიას დაკეტილ სახლიდგან მოჰპარეს ერთი კარგი ცხენი და თანაც ერთი კარგი ძაღლიც წაიყვანეს. აგრეთვე მოჰპარეს ცხენები ქ. ქ—სა და ფ. ცა—ს. პირველს ერთი კარგი ცხენი მოჰპარეს, ხოლო მეორეს—ორი. ეს ცხენები იყო ორის სოფლის „მასწავლებლისა“, რომელნიც კ—ს სტუმრად ეწვივნენ.

*** გაზეთი „Нов. Время“ იუწყება, რომ რუსეთის ზოგიერთ რკინის გზათა მმართველობას განზრახვა აქვს რკინის გზის სადგურებზედ რკინის გზით გასაგზავნი საქონელი კვირა-უქმე დღეს სრულიად არ მიიღონო.

*** გაზეთი „Моск. Вѣд.“ იუწყება, რომ რუსეთის ფინანსთა ახალს მინისტრს სრულიადაც არა აქვს განზრახვა ახლად გამოსცეს ქაღალდის ფული, როგორც ზოგიერთი გაზეთები იუწყებოდნენ, პირ-იქით, განზრახვა აქვს 25 მილიონი ქაღალდის ფული გაუქმოსო.

*** 25 ოქტომბერს წყლის პირის ქუჩაზედ მცხოვრებელმა კანცელარიის მოხელემ ვასილ რესნენკომ პოლიციაში გამოაცხადა, რომ წუხელ სახლის ღია ფანჯრიდგან მომპარეს: ორი მუთაქა, ორი ბალიში და ორი ქალის შლიპა, სულ 50 მან. ღირებულიო.

*** ამავე დღეს გერმანელების ქუჩაზედ მცხოვრებელმა რკინის გზაზედ მოსამსახურემ ილია ბუღკამ თავის მოკვლა მოიფიდნინ და ყურში რევოლვერი დიიცა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

*** 25 ამ თთვისას ბუშკინის ქუჩაზედ სოფ. თახაკენტის მცხოვრებელი ხარატურ ათუნოვი თავისს მეზობელს კარაპეტ მერადოვს წაეჩხუბა და დანით გვერდში დასჭრა. დამნაშავე დაიმალა, დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

*** ამავე დღეს ვარაკოვის ხიდზედ ტვერის გუბერნიის მცხოვრებელი 70 წლის აგრაფენა ბატკოვისა თავის გაუფრთხილებლობით ეტლს ქვეშ ჩავარდა და მძიმედ დაშავდა.

*** 25 ამ თთვისას იარმუკაში ძეხვით მოვაჭრეს ანტონ პოლსკის 2½ ფუთი გამოუსადგაგარი სხვა-და-სხვა სავაჭრო გადაუყარეს. აგრეთვე დაავალეს პოლიციის მოქალაქეს პოლსკის ორი სხვა მაღაზიაც გასინჯოს. ეს მაღაზიები გოლოვინის პროსპექტსა და მიხეილის ქუჩაზეა.

—

შეცდომის გასწორება: ჩვენს გაზეთში, კვირას შეცდომით იყო დაბეჭდილი, „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“ თანდათან ემატება ახალნი ამხანაგნი, ისე რომ ამხანაგობის მმართველობა შეუდგა ახალის პიესების დამზადებასაო. ცხადია, რომ ეს საკორექტორო შეცდომაა და პიესების მაგიერ უნდა იყოს პაიი. ამხანაგობის მმართველობას უნდა ახალი პაიები დამზადოს თავის ახალ წევრთათვის, რომელთა რიცხვმა ამ ბოლოს დროს შესამჩნევად იმატა.

ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲐᲠᲒᲚᲔᲑᲐᲜᲘ

დეპეტის ოდჟის მომრიგებელ-მოსამართლეთა კრების თავმჯდომარე, ნადგორნი სოკეტნაკი ფილიპოვი დანაშულ იქმნა ქუთაისის ოდჟის სასამართლოს თავმჯდომარეს თანაშემწედ და სტატსკი სოკეტნიკობა ებოძა.

დამაკვირდი!

პატრეს მწუსარება ებედია, დადა-კი ხმა-ამოუღებელია და მდუმარე.

(სენეკა)

**

გონება იტანს და უძღებს უბედურებასა, კეკეტლობა ებრძვის, მოთმინება და სიდუმენოება-კი სიძღეს ხოდმე.

(დე-სავინი)

* *

ის კი არ არის სიტარო, კეთილი

დელი ოთახში შევიდა. მარომ გაარჩია მანუჩარი და კოწია, მერე დათას დაუწყო ყურება და დიდხანს უყურა.

— ვვერ-ულვაში ეხლა მოუდის, ჰფიქრობდა მარო: ეტყობა, რომ სულ ყმაწვილია და უკვირდებოდა დათას.

— მამა, მარო დურბინდით მოგვჩერებია, უთხრა კოწიამ ამ დროს მანუჩარს. დათამ იგრძნო, რომ დურბინდი იმისკენ იყო მიმართული და დაუწყო თითონაც მზერა მაროს. კოწიამ ხელი მიიდო თვალებზედ ბეჭედივით, ვითომ დურბინდიაო, და შეჰხედა მაროს. მაროს გაეცინა, დურბინდი დასდო და თითონაც მუჭით დაუწყო მზერა ძმას.

ამ დროს გამოვიდა აივანზედ სალომე.

— რას შვრები, მარო? უთხრა შვილს: უცხო კაცი მოდის და რას იფიქრებს, გასათხოვარი ქალი და ამისთანა ცელქობა—ვინ გაიგონა?

მარო გაწითლდა და არაფერი არ უთხრა დედას. ეს მეორედ გადაკრეს სიტყვა გათხოვების შესახებ ამ ერთის საათის განმავლობაში.

პატარა ხანს უკან მგზავრები შემოუდგნენ შეღმართს. მანუჩარი ხან-და-ხან აიხედავდა ზევით, კოწიასკი სულ დედისა და დისკენ ჰქონდა თვალები. დათამ ერთხელ აიხედა ზევით და, რა-კი ნახა, რომ ოთხი თვალი დაკვირვებით მოსჩერებოდა, შერცხვა და თავი ჩაღუნა.

— რა ახალგაზდას გაუთავებია გიმნაზია! სთქვა სალომემ; ნეტავი მაგის დედას! მარომ არაფერი არ უთხრა დედას.

კოწიამ დაჰკრა ცხენს მათრახი და პატარა ხანს უკან ჭიშკართან გაჩნდა. ბიეპი გაეღო ჭიშკარი და იმანაც შეაპენა ეზოში ცხენი.

— შენ გენაცვალე, დაიძახა მარომ და გაიქცა ძმის მისაგებებლად. კოწია გადმოხტა ცხენიდგან, გადაეხვია მაროს და ორივენი დედასთან წავიდნენ.

VI

მანუჩარი და დათაც შემოვიდნენ ეზოში.

— ბიეპ, სხვა ბიეპები სად არიან, მარტო შენ რომ მოდიხარ? დაუძახა მანუჩარმა ბიეს, რომელმაც ჭიშკარი გააღო და უკან მოჰყვებოდა ცხენების ჩამოსართმევად.

— შინ გახლავან, ბატონო, სთქვა ბიეპმა და დაიძახა: ფილიპე, გოგი! ბიეპები გამოცვინდნენ სამზარეულოდგან და მიეგებენენ ბატონს. ორს ცხენს ერთი ბიეპიც კარგად მოუვლიდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მანუჩარს დათასთვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ თუმცა ბატონ-ყმობა აღარ არის, მაინც ბევრი ბიეპები ყოფნა.

მანუჩარი და დათა გადმოხტნენ ცხენებიდგან და შევიდნენ დერეფანში. სანამ დათა პალტოს გაიხდიდა, მანუჩარმა შეაღო დარბაზის კარი და ხმა მაღლა დაიძახა:

— სად ხართ მასპინძლებო?

— აგერა ვართ, მამა, მოისმა მაროს მკაფიო ხმა და დარბაზში შემოვიდა თითონაც.

— კოწია რომ ნახეთ, სხვა აღარავინ გაგახსენდათ? უთხრა მანუჩარმა მაროს და გაუწოდა ხელი.

— როგორ არა, მამა, უთხრა ღიმილით მარომ და აკოცა მანუჩარს ლოყაზედ. მანუჩარმა შუბლზედ აკოცა.

— ჩემი ქალია, მიუბრუნდა მანუჩარი დათას და დათაც ჯარხალივით გაწითლებული მივიდა მაროსთან. მაროსაც შერცხვა და ჩამოართვა ხელი დათას.

— ცოტაოდენი რუსულის გახსენება შენც გეპირდება, ქალბატონო, და ურიგო არ იქნება, შეეხვეწო დათას, კოწიასთან ერთად შენც გასწავლოს.

— მეოთხე კლასიდგან გამოვიყვანე, უთხრა მანუჩარმა დათას: რადგან ავად გახდა. ან-კი მეტი სწავლა რა საჭიროა ქალისთვის. ოღონდ რუსულად ლაპარაკი მოახერხოს, სხვა რა უნდა, მაგრამ მგონი სულ გადაეჭვია რუსულის ლაპარაკს და იმედია, ეხლა თქვენთან გაიხსენებს.

— კი, ბატონო, სთქვა დათამ და შეხედა მაროს: კოწია და ეგ ამხანაგები ყოფილან და თუ-კი ინებებს ჩვენთან მეცადინეობას, ძალიან კარგი იქნება.

— რატომ არ ინებებს? სთქვა მანუჩარმა და კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს გამოვიდნენ სალომე და კოწია.

— კოწიას მასწავლებელი, უთხრა მანუჩარმა სალომეს.

— კოწიას დედაა, მიუბრუნდა ის დათას, რომელიც მივიდა სალომესთან და ხელზედ აკოცა.

დათას გიგოსაგან ჰქონდა ნასწავლები, ვისთან როგორ მოქცეულიყო და ისიც ისე იქცეოდა.

ამას შემდეგ ყველანი გავიდნენ აივანზედ.

— აბა, თქვენ იმუსაიფეთ და მე კოურჩინინმაც დაატკბეს საზოგადოება თავისის სიმღერით.

წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, მთლად სავსე იყო თეატრის დარბაზი.

ა.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭა, 1 ოქტომბერი. სამწუხაროდ, ეხლანდელ რაქველთა ზნეობის სურათს რომ კარგად დაუკვირდეს კაცი და მასთან გაითვალისწინოს ძველ რაქველების ზნეობრივი სახეც, ცხადად დაინახავს, რომ ამ მხრით მეტად დიდი სხვა-და-სხვაობა ჰსუფევს ძველსა და ახალ რაქველთა შორის: ძველად პატიოსნება, ნამუსი, ძმობა, ერთი მეორის თანაგრძნობა და სიყვარული ბევრად მეტი იყო. ყოველივე ის მოქმედება, რაც ადამიანის კეთილ ზნეობას ჩირქსა სცხებს და სახელს უტეხს, ძველ რაქველის ცხოვრებაში ძლიერ იშვიათი ამბავი იყო. ეხლა-კი სულ სხვა სურათს ვხედავთ: ისე წელიწადი არ გავა, რომელიმე ბოროტ-მოქმედება და სინდისიერის ადამიანის შემაძრწუნებელი და თავ ზარ-დამცემი რამ არ მოხდეს; შური და მტრობა, ცემა და ჩეხვა ერთიერთმანეთისა, ხშირად უბრალო მიზეზის გამო კვლა, ძარცვა-გლეჯა, განზრახ შურისძიებით ცეცხლის წაკიდება და გადაწვა მეზობლის სარჩო-საბადებლისა, ყოველივე ესე არა იშვიათი, არამედ თითქმის ყოველ თთვიური მოვლენაა. აი ერთი მაგალითი ამისი:

სოფ. გორისუბანში მცხოვრებელ მღვდელს სპ. გიორგოგიანს ჰქონდა სოფ. ნიკორწმინდას თავისს მამულში მშვენიერი, ხუთ-თვალიანი სახლი ბელღით, სოფჯახო საქალებო სახლით, სასმინდეთი და საზოგადოდ ყოველ ვვარ მოწყობილობით პატივცემულს მოძღვარს ბეღელი სავსე ჰქონია რამდენისამე წლის ერთად შეგროვილის ჭირნახულით, ხოლო წრეზედ ბოსტანი, ეზოში ბალი, ბაღი, ვენახი, ბოსელი, ეზოს ბოლოს ბაზალეთი, ბოსელ-ბაზალეთ-ბოსელ-ბაზალეთ-ბოსელ-ბაზალეთ-

ხლობლად მდებარე სოფლებში, სადაც უნდა დარჩენილიყო ღამის გასათევად ჯარი, შეაგროვეს სიმიდი, თივა და შეშა, კომლზედ გლეხს ერთი ფუთი, თუ მეტი სიმიდი, შეშა და თივა მიატანინეს სასოფლო კანცელარიაში. ჯარი რადაც მიზეზით აღარ ამოსულა ჩვენს მახრაში ტ სიმიდი, თივა და შეშა გლეხებისთვის უკან აღარ დაუბრუნებიათ. სასურველია ვიცოდეთ, ადგილობრივ მამასახლისებმა რა საქმეს მოახმარეს გლეხებისაგან მიტანილი სიმიდი, თივა და შეშა? თუ არაფრისთვის დასჭირებიათ, იმედია, ყოველივე უკანვე დაუბრუნდებათ თავთავიანთ პატრონებს?!

ქიხოსრო გელოვანი

კახეთის საფილოქსერო დასი

(წერილი თელავიდგან)

ამ ოქტომბრის 3-ს კახეთის საფილოქსერო დასის უფროსის ბ-ნ ინანაშვილის თხოვნით შეიკრიბნენ მამულის პატრონები თელავის სასულიერო სასწავლებლის დარბაზში და, შემდეგ თავმჯდომარის ამორჩევისა, ბ-ნმა ინანაშვილმა მოახსენა კრებას დაახლოვებით შემდეგი: საფილოქსერო დასი კახეთში ჰმოქმედებს 1889 წლიდამ. ამ დასს ორი საქმე ჰქონდა დავალებული: ა) გაესინჯა ვენახები, ფილოქსერა ხომ არა აქეს გაჩენილი ვაზსა და ბ) სამაგალითოდ ვენახების წმოლობით, დარიგებით და წმოლობის მსურველთათვის ხელმძღვანელობით წაეხალისებინა მამულის პატრონები ვაზის წმოლობაში ნაცრისა და ობისაგან.

ფილოქსერის საძიებლად ბ-ნ ინანაშვილს უსინჯავნებია ვენახები ორ ნაირად: ა) ერთი-ერთმანეთზედ მიყოლებით, ე. ი. რომელ სოფელშიაც შესულან, გაუსინჯავთ ამ სოფლის ყველა ვენახები და ბ) უსინჯავთ ამორჩევით. ფილოქსერის საძიებლად ამოურჩევიათ ის ვენახები, რომლებსაც აკეთებენ იმერლები. რადგანაც დასავლეთ საქართველოში ფილოქსერამ იჩინა თავი და ამ ფილოქსერიან ქვეყნიდგან მოსულები აკეთებენ კახეთში ბევრს ვენახებსა, უფიქრნიათ, შეიძლება იმერლებმა როგორმე გადმოიტანეს კახეთში ფილოქსერაო. სასიხარულოდ კახელებისა და კახურის მოყვარულებისა, ამ ოთხის წლის ძიებას არა ვითარი ფილოქსერის ნიშანი არ აღმოუჩენია.

სასურველად წასული ობისა და ნაცრისაგან წმოლობის საქმეც. 1889 წელს საფილოქსერო დასს ზემო და ქვემო კახეთში უწმოლია ექვსის დღიური ვენახისათვის; 1890 წელს ორმოცი დღიური ვენახი ყოფილა ამავე დროს დასის ხელმძღვანელობით ნაწმოლი; 1891 წელს ას ოცი-დღიური ყოფილა ნაწმოლი და ამ 1892 წელს ათასი დღიური ვენახი არის ნაწმოლი. ამავე დასის ხელმძღვანელობით, გარდა იმ ვენახებისა, რომლებისთვისაც მეპატრონეებს თვით უწმოლიათ *).

შემდეგ ამ ცნობათა მოხსენებისა, ბ-ნმა ინანაშვილმა ჩამოაგდო ლაპარაკი წმოლობისათვის საჭირო იარაღისა და მასალის საწყობზედ. გამოითქვა აზრი, ვეცადნეთ, გავამართ

ნოთ მთავრობას ამისთანა საწყობნი. ამისიაუცილებლობა დასაბუთდა იმით, რომ წმოლობისათვის საჭიროა შაბიამანი და ვიტრიოლი შეიძლება გაჭყიდონ შაბიამანის მაგიერ შეღებილი ძაღა, ან შაბიამანი, ძაღა ნარევი.

თვალად ამ ორის ნივთიერების გარჩევა ადვილი არ არის და გლეხისათვის ხომ შეუძლებელია. შაბიამანი ღირს 6 მან., ძაღა-კი 1 მან. და 50 კაპ. ცხადია, ვიტრიოლ ეცდებიან, თუ წმინდა ძაღა არა, ძაღა-ნარევი შაბიამანი გაჰყიდონ. აგრეთვე შეიძლება გოგირდში სიმინდის ფქვილი აურიონ. ამბობენ, ამისთანა ნარევების ყიდვას უკვე ჰქონდა ადგილი თელავში და სიღნაღშიცაო.

აუცილებლად საჭიროა, ვენახის წმოლობა რაც შეიძლება იაფად ჯდებოდეს, რომ ყველა ვენახის პატრონმა შესძლოს ეს ხარჯი. წინაადმდეგ შემთხვევაში ძლივ-ძლიერით დაჯდეს. ამისთანა ტაატით სიარულს წმოლობის საქმისას, ამას როდისმე დავებრუნდებით და გამოვარკვევთ იმის მიზეზს.

*) რაც შეეხება ამისთანა ტაატით სიარულს წმოლობის საქმისას, ამას

ბილზეა, სთქვა დათამ და შეჰხედა სალომეს.

— აქედამ ყურებას არაფერი სჯობდა, ნამეტურ მაშინ, როცა რკინის გზა არ იყო და შოსეს გზით იყო მისვლა-მოსვლა. რა რჯულის ხალხს არა ჰნახავდა მაშინ ამ გზაზედ კაცი! ეხლა რაა? ერთ წუთს გაგირბენს მატარებელი თვალ-წინ და დაიმალება! სთქვა სალომემ.

— მაგიერად მგზავრობა ეხლა სჯობია, ბატონო, სთქვა დათამ.

— ეჰ, მე თუ მკითხავთ, მგზავრობაც მაშინდელი მერჩია რომ მოვიყრიდით ბეერნი თავს და წავიდოდით ცხენებით. რამდენი სიამოვნება გამახსენდება მაშინდელი! ამბობდა სალომე. საზოგადოდ, უნდა მართალი გითხრათ, რომ მაშინდელი დრო სჯობდა ჩვენთვის. ეხლა რაღა ვართ? ყმები ჩამოგვართვეს, მამულებზედ გადასახადი დაგვწესეს. ღამის ჩვენ ნაყმევებთან გაგვსწორონ!

— დრონი მეფობენო, ბატონო, ნათქვამია, დაიწყო დათამ. ბატონ-ყმობა მაშინ იყო საჭირო, როცა თავად-აზნაურობას მუშობისთვის არ ეცალა და მაჰმადის მტერთან ბრძოლაში იტარებდა დროს. მაშინ თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა ორ

სხვა-და-სხვა საქმეს აკეთებდა. გლეხები მუშაობდნენ, თავიანთს თავსაც ირჩენდნენ და თავად-აზნაურობასაც არჩენდნენ; თავად-აზნაურობა-კი დარაჯად უდგა სამშობლოს და იფარავდა მამულს მტრისაგან. ისინი უერთმანეთოდ არ ივარგებდნენ და ამიტომაც მოხდა ერის გაყოფა ორ ნაწილად: მებრძოლი თავად-აზნაურობად და მუშა გლეხ-კაცობად. ეხლაკი სხვა დრო დადგა. მტერთან ბრძოლა აღარ არის საჭირო თავად-აზნაურობისათვის და ამიტომაც აღარც ყმები არიან საჭიროონი მისთვის. ეხლა სხვა დანიშნულება აქვს თავად-აზნაურობას, ეხლა მუშაობის ახალი წესები უნდა შემოიღოს, თუ ცხოვრების სათავეში უნდა ყოფნა კვლავ.

— როგორ, თავად - აზნაურობამ უნდა გლეხ-კაცობასთან ერთად მოჰკიდოს თოხს ხელი? სთქვა გაკვირვებით სალომემ. დათამ შეჰხედა ჯერ სალომეს, მერე კოწიას და მაროს და თითონაც უკვირდა, პირველადვე რომ ასე თამამად დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ აწი უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და იმანაც განაგრძო:

— თოხს რათ მოჰკიდებს ხელს? თავად-აზნაურობას შეძლება აქვს და

იმანაც ეს შეძლება სწავლისათვის უნდა მოიხმაროს...

— მერე ნასწავლი კაცი საიდამ იმუშავებს? გაიწყვეტინა სალომემ: ან მუშობას რა საწყლი უნდა.

— სწავლა უნდა, ბატონო, და დიდი სწავლაც. აგერ კოწია გაათავებს გიმნაზიას და მერე წავა უმაღლესს სააგრონომიო, სამეურნეო სასწავლებელში. იქ ისწავლის, როგორ შეიძლება, რომ კაცმა ცოტა შრომით ცოტა დროს განმავლობაში ცოტა მიწას ბევრი ნაყოფი გამოაღებინოს. არის იმისთანა იარაღები, არის აგრეთვე იმისთანა საშუალებანი, რომ რასაც ეხლა ათი და ოცი ქცევა მიწა იძლევა, იმას ერთი ქცევა მისცემს კაცს. კოწია შეიძენს ყველა ამ ცოდნას, შეისწავლის ყველა ამ გვარს ხერხს, ჩამოიტანს ახალი იარაღებს და ასწავლის გლეხებს იმათს მოხმარებას. თითონ მხოლოდ გზას მისცემს და ისინი იმუშავებენ. მაშინ ხელ-ახლავ დამყარდება კავშირი კოწიასა ტ გლეხებს შუა, მაგრამ ეს კავშირი ძალასა ტ უფლებაზედ როდი იქნება დამყარებული, არამედ ერთმანეთის პატივისცემაზედ და საურთიერთო სარგებლობაზედ. ბატონ-ყმობის დროს თავად-აზნაურობა და გლეხ-

---

კაცობა ერთმანეთისათვის ზრუნავდა; როგორც ვნახეთ, ეხლა-კი თავად-აზნაურობა ცალკე გადგა და გლეხ-კაცობა ცალკე; ამიტომაც ისინი ითქოს ერთმანეთის მტრებად გადაიქცნენ, მაშინ როდესაც ორივეს ინტერესი მოითხოვს, რომ ისევ მისცენ ერთმანეთს ხელი. ეს ხელის მიცემაც მაშინ მოხდება, როცა თავად-აზნაურობა ცოდნასა და საშუალებას მისცემს გლეხ-კაცობას მუშობისთვის და გლეხ-კაცობაც იშრომებს. მაშინ ხელ-ახლავ საჭირო შეიქმნება ეს ორი წოდება ერთმანეთისთვის და, თუ გნებავთ, ხელ-ახლავ დამყარდება ბატონ-ყმობა, ბატონ-ყმობა აშენებული ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემაზედ.

გაათავა დათამ ლაპარაკი და შემოავლო თვალი მსმენელთ. მაშინვე შეატყო დათამ, რომ მისმა ლაპარაკმა უქმად არ ჩაიარა და, თუ სალომეს არა, მაროსა და კოწიას მაინც გულში ჩაუვარდა.

— შენ თუ ვერ გიგებ ჩემს ლაპარაკს, არ მენდობიხარ, ოღონდ მავა სომეხთა კათალიკოსი ხრიმიანი, ახლად ამორჩეული მთელის სომეხთა ეკკლესიის მეთაურად და მმართველად. გრაფ იგნატიევს და კათალიკოსს ჯერ სტამბოლზედ უნდოდათ თურმე გამოვლა, მაგრამ დიდმა ვეზირმა არ ურჩია, სხვა გზა აირჩიეთ, რადგან ხრიმიანის მცირე აზიაში პატრიარქად ყოფნამ ცოდი მოქმედება იქონიაო. რჩევისათვის პეტერბურგს მიჰმართეს და ჯერ არ არის გამორკვეული, რუსეთის მთავრობა ამ საქმეს როგორ დაამბოლავებს.

წერილი ამბავი

გაზეთის მკითხველი საზოგადად ძლიერ უსაყვედურებს ხოლმე გაზეთს, თუ ვინაცობაა შეტდამა რამ შენიშნა გაზეთში. მკითხველმა, რასაკვირველია, არ იცის, როგორა სწეინო რეადქტიასაცა და გაზეთის თანამშრომლებსაც, როცა გაზეთში შეტდამა აღმოჩნდება. მკითხველმა არ იცის აგრეთვე, რამ ძლიერ ძნელია და თითქმის შეუძლებელიცა, გაზეთი უშეტდამოდ დაბეჭდოს. „Hamburger Nachrichten“-ი სწერს: გაზეთი უშეტდამოდ მხოლოდ მაშინ დაბეჭდავს: 1) თუ ავტორმა უშეტდამოდ დასწერა თავისი წერილი; 2) თუ წერილი მკაფიოდ და გარკვეული ხმის დაწერილი; 3) თუ ასოთ - ამწყობმა ასოები თავ-თავისს ადგილს გადაუწყო; 4) თუ ასოთ ამწყობმა ის ასო ამოიღო გასიდგან, რომელიც საჭიროა - და არა სხვა; 5) თუ ასოთ - ამწყობმა წერილი უშეტდამოდ ასწყო; 6) თუ კორექტორმა ისე წაიკითხა გაზეთი, რომ არც ერთი შეტდამა არ გამოეპარა და შეტდამები რიგასნად გასსწორა; 7) თუ ასოთ-ამწყობმა ბარეულ კორექტურაში ე�d შეტდამა რიგასნად გასსწორა; 8) თუ კორექტორმა გულ-დადებით წაიკითხა მეორე კორექტურა, შეტდამა არ გაეპარა და უკვლა გასსწორა; 9) თუ ასოთ-ამწყობმა მეორე კორექტურა უშეტდამოდ გასსწორა; 10) თუ ამის შემდეგ გაზეთი კრთხულ კადეკ, ან ორჯულ კორექტორმა გულდადებით წაიკითხა; 11) თუ კორექტორმა გაზეთის უკანასკნელი

რომა და კოწიამ გიგონონ, ჰფიქრობდა და მისჩერებოდა სალომეს, რომელიც ხმას ვერ იღებდა.

— მე უსათუოდ სამეურნეო სასწავლებელში წავალ, სთქვა აღტაცებით კოწიამ: და ვისწავლი ყველაფერს, რაც დათამა სთქვა. მე არ მინდა სამსახურში შესვლა.

— დიაღაც რად გინდათ სხვის მორჩილებაში ყოფნა, როდესაც თქვენი ადგილ-მამულები, თუ-კი რიგიანად მოუვლით, მეფურად გაცხოვრებთ, უთხრა დათამ.

— ჯერ რაც საქმეს ადგიხარ, ის გაათავე, უთხრა სალომემ კოწიას და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს აივანზედ გამოვიდა მანუჩარი და სთქვა:

— სადილი მზად არის და დროა ვისადილოთ.

— წამობრძანდით, სთქვა სალომემ და წავიდა წინ ყველანი უკან გაჰყვნენ.

ლუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

ბენელად წაკითხვის დროს ყველა შეცდომა შეჭნაშნა და რიგიანად გაასწორა; 12) თუ გაზეთის ბეჭდვა წესიერად და უნაგლად მოხდა. თუ ეს ყველა პირობა შესრულებულ იქმნა,—მაშინ... მაშინაც შეუძლებელია, რომ გაზეთში შეცდომა არ იყოსო...

— პრუსიის პარლამენტის დეპუტატთა უკანასკნელ კრებებების დროს პრუსიის ერის ქალაქში შემდეგი სასიცილო ამბავი მოხდა. ამ ქალაქის პირველ ხარისხის ადმინმრჩეველად მარტო ერთი კაცი ადმინდა, ესაბა ნემანი. ნემანმა განაცხადა: „დეპუტატად ჩემი თავი ამომარჩეველო“. კომისარმა ოქმში ჩასწერა დეპუტატად ამორჩეულის ესაბის გვარი და, თანახმად კრებების წესდების მე-20 მუხლისა, ჰკითხა ნემანს: „გისრულობ, თუ არა დეპუტატობასაო?“ ესაბამ დეპუტატობაზედ უარი განაცხადა. მაშინ კომისარმა წაუკითხა ნემანს წესდების მე-21 მუხლი, რომლის ძალითაც, თუ დეპუტატად ამორჩეულმა არ-ჩევანზედ უარი სთქვა, იმ წამსვე სხვა კაცი უნდა იყოს ამორჩეულიო, და ჰკითხა ნემანს: „ეანა გსურთ ამოირჩიოთ დეპუტატადაო?“ ნემანმა უპასუხა: „ამომარჩევა ესაბი ნემანი“. ამ ხუთრობით უკმაყოფილი კომისარი ხელ-მოწერედ შეეკითხა ნემანს, კისრულობ, თუ არა ესაბ მიანც დეპუტატობასაო. ამპარტავანმა ესაბამ ეულში მუშტი დარტყა და ამაყად სთქვა: „რადგანაც ამომრჩეველი დიდი ხნობა განმაცხადებს ჩემის ხელმოწერად ამორჩეეთო, ამიტომ უარის თქმის ეკადარა ბუნდა და დიდის მადლობათ ეკისრულობმმეტერთის დეპუტატობისასო“..

— გაზეთ „Eclair“-ში დაბეჭდილია: ერთს ახარებულს ინგლისელს ძალიან ეულით მოსდომებია ხოლერით აკვდ ეასდომა: უეჭველად უნდა ეცხადო, როგორაა ეს აკვდმოოობა. ახარებული ინგლისელი, შეიტყობდა თუ არა, ამდა-ამ ადგილას ხოლერა ეაჩნდა, ამ წამსვე იქ ეავეგზავრებოდა თურმე. ეს ინგლისელი სტენგოზეთი კარეა ხანს სცხოვრობდა ჭაბურეის ხოლერაანთა სამეურნეოში, მაგრამ არ ეაწია და არა, ამ უშიშრს ინგლისელს ხოლერა არ შეხვდა. დაღლნებული და ეაეულ-ნატეკენი ინგლისელი პარიეს წავიდა. ბარიეში მისელის მერე ალეს ეს ინგლისელი ხოლერით ეასდ აკვდ. რა თქმა უნდა, რომ წამდეში წანადვე ჭეონდა მომზადებული. ინგლისელი ეაადარა ხოლერას და ეხლა ძალიერ ემოეოფილია თურმე და უსარიან, ეაეულ წადილი ამისრულდა.

წერილი რედაქციის მიმართ

ეაეზანინთ ამასთანაკე ხელ-მოწერედ *) შემოწერეულთა სიას ამ 11 მანეთისას, რომელიც დადი ხანია ეამოეზანილ იქმნა ბ-ნ ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ. ეა ეს სიაც:

1) მაზა კაკაბაძე—1 მან., 2) პარმენ მაკარაშვილი—1 მან., 3) ალექსანდრე მაშიჩანო—1 მან., 4) ბენიამენ სიტი—1 მან., 5) ასონ ეაეზენიძე—1 მან., 6) ო. კეკეძე—1 მან., 6) ოსიეს როსტომაშვილი—1 მან., 7) სიმონ ცერცვაძე—50 კაპ., 8) ნესტორ ჩხეიკაძე—40 კ., 9) ალეკო მიქაძე—40 კ., 10) ეანეაშვილი—40 კაპ., 11) ასკოს კაკაბაძე—30 კ., 12) ოსიეს მიროტაძე—30 კ., 13) ალ. მამაცაშვილი—30 კ., 14) № 50 კ., დანარჩენი 1 მან. და 90 კ. სხვა-და-სხვა თანკარ, რომელთა სახელი და გვარი ალარ მახსოვს. სულ თეთრეულ მანეთი.

თ. კიკვიძე

*) მკითხველთ ეხსომებათ, რომ ამის წინად ახალ ამბად იყო გამოცხადებული, ბ-ნ თ. კიკვიძისაგან მივიღეთ 11 მან. ალ. ყაზბეგის სასარგებლოდაო. ეს ფული, მართალია, კარგა ხანია გამოგზავნილი იყო, მაგრამ სია შემომწერველთა ვერ დავბეჭდეთ დღემდე, რადგან დაგვეკარგა და მხოლოდ დღეს მივიღეთ ხელ-მოწერედ ჩვენის ოხოვნისამებრ. ასეთის დაგვიანებისათვის ბოდიშს ვიხდით ბ-ნ კაკეაძის წინაშე.

რედ.

დეპეშა

24 ოქტომბერი

პეტერბურგი. „Нов. Время“-ს ეაუბნონია: ის კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საგლეხო ბანკში ცვლილებათა შემოღება, იმ აზრს დაადგა, შეემცირეროთ სარგებელი და რაოდენობა გარდასახდელ ფულისაო; საზოგადოდ ეს ჯამი 5% არ აღემატებოდეს; ვადა სესხისა მომატებული იქმნას; ბეგრში საგლეხო ბანკის მოქმედება შეეერთდება საოთავად-აზნაურო ბანკის მოქმედებას; ბანკების განყოფილებათა შემცირება უკვე შეუდგენენ; განზრახვა აქვთ სრულიად გააუქმონ თითო განყოფილება, ერთი ამიერ-კავკასიაში, ერთი ამიერ-ვისლის მხარესა, ერთი ვოლგას ნაპირებზედ და ერთიც მალოროსიის გუბერნიებში.

სარატოვი. გუშინ დაიწყეს განსამართლება იმათი, რომელთაც ხოლერის გამო უწესოების მოხდენა ჰბრალდებათ. ბრალდებული 153-ია და მოწმე 530. თავმჯდომარეობს სამხედრო მოსამართლე გენერალ-მაიორი ბოგდანოვი.

რუმი. დღეს პაპმა ამისთანა შემოხვევისათვის დაწესებულ ცერემონიალით დარბაზად მიიღო დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და მისი უცვგუსტოესი მეუღლე. დარბაზობამ $^1/_2$ საათს გასტანა. ამას შემდეგ მათნი უმაღლესობანი იყვნენ კარდინალ რამპოლლასთან, რომელმაც მაშინვე გადაუხადა დარბაზობა.

პარიეი. საპარადო წარმოდგენაზედ, რომელიც ბრესტში გაიმართა სამ სამხედრო ხომალდის რუსთა ოფიცრების პატივსაცემლად, რუსეთის საერო საგალობელი, საზოგადოების თხოვნით, სამჯერ განმეორეს და სამჯერვე საზოგადოებამ ქუდ-მოხდილმა და ფეხზედ მდგომარემ მოისმინა.

ლონდონი. დღეს გაიფიცნენ ლანკაშირის საქსოვ ფაბრიკის მუშები; 50,000-მდე კაცმა მუშაობას თავი დაანება.

25 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ საქართველოს ეკსარხოსი პალლადი ინიშნება პეტერბურგის მიტროპოლიტად და გაეგზავნა უმაღლესი რესკრიპტი, რომლითაც თეთრი ბარტყუელა აქვს ნაბოძები მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას. საქართველოს ეკსარხოსად ყოფნა ნაბრძანები აქვს სამარას ეპისკოპოსს.

გზა-ტკეცილისა და წყლის გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი ფადეევი დანიშნულ იქმნა სენატორად; სენატორი კონი — სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორის თანამდებობის აღმასრულებლად; სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ირაკლიონოვი—ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრად.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ოქტომ.

	ბოლოდ გაყიდვა.	ბოლოდ ყიდვა.	ბოლოდ ფასი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	8,12	8,15	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	162¼	163	— ,,
ძანეთიანი ვერცხლის ფული	1,08	1,10	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	236
—მეორისა	215¾	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	190½
გრაფინობის ფურცელი ტფილისის ბანკისა: 6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკredიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამითი აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით დანიშნულია საჯაროდ გასყიდვა შემდეგის მამულებისა, რომლის პატრონებსაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ. თუ ხვედრს ფულს შემოიტანენ პატრონები, ეს მამულები აღარ გაიყიდება:

ირხა-ჭკონ-ბაბა-ოღლისა: სამი $1^1/_2$ სართულიანი ქვითკირის სახლი მიწა ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. ქალაქ. განჯის 1 ნაწილში.

შაჰკედანოვისა, მელქუმ ქრისტეფორეს ძისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი და 2 ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 150 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ბაქოს, 5 ნაწილი, ფორშტატი, № 1,498.

(1—1)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ქვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—128)



ტფილ. გამოფენა.

ვერცხლისა

ოქროსი

ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.

Принимаются постройки, ремонта и окраскъ домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალალო თუთაევის

ზეთ ანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვბრიდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—42)

იოსეფ ი. ვოკიელოვის მაღაზიაში

ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 ქაპ.

ასოებით 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—18)

რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის საგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—10) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

ახლად გამართული

პანსიონი და სასწავლებელი

ა. ვ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღოდოვის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—15)

Дозв. ценз. Тифлисъ, 26-го Октября 1892 г. სტამბა ძ. ბლიადაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.